



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-  
საქართველოს ეროვნული არქივი



KA011913503717718

17 / სექტემბერი / 2018 წ.

№ 17d/s

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**


**სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში მკვლევართა ქცევის წესის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N246 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ :**

1. დამტკიცდეს „სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში მკვლევართა ქცევის წესი“, თანდართული სახით.
2. დაევალოს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზზე პასუხისმგებელ პირებს, გააცნონ თანდართული წესი მკვლევართა დარბაზში დაშვებულ პირებს.
3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა ქცევის წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ივნისის 151ას ბრძანება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

თეონა იაშვილი

## სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში

### მკვლევართა ქცევის წესი

#### მუხლი 1.

1. სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის (შემდეგში - ეროვნული არქივი) მკვლევართა დარბაზში მკვლევრის დაშვების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს წინამდებარე „სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში მკვლევართა ქცევის წესის“ (შემდეგში - წესი) გაცნობა და ამ წესის დაცვის დადასტურება ხელმოწერით.

2. ეს წესი ვრცელდება ეროვნული არქივის ყველა მკვლევართა დარბაზზე.

#### მუხლი 2. მკვლევარი ვალდებულია

1. იყოს კეთილგანწყობილი, როგორც ეროვნული არქივის თანამშრომლის, ასევე სხვა მკვლევრის მიმართ.

2. გაუფრთხილდეს და პასუხისმგებლობით მოეკიდოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებს და ეროვნული არქივის ინვენტარსა და სხვა ქონებას.

3. გადაიხადოს მომსახურების საფასური „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილების შესაბამისად.

#### მუხლი 3. მკვლევარი უფლებამოსილია

მოსთხოვოს ეროვნულ არქივს:

ა) გაუწიოს მომსახურება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილების შესაბამისად;

ბ) შეუქმნას ჯანსაღი სამუშაო გარემო.

#### მუხლი 4. მკვლევარს ეკრძალება

1. კატალოგიდან/კარტოთეკიდან ბარათის ამოღება;

2. საარქივო დოკუმენტის ფიზიკური დაზიანება, შინაარსის გაყალბება, დოკუმენტის დედანში აღნიშვნის გაკეთება, საარქივო დოკუმენტების ასლისა და ფოტოსურათის თვითნებურად გადაღება;

3. ხმამაღალი საუბარი ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც დაარღვევს სამუშაო გარემოს მკვლევართა დარბაზში ან/და ეროვნული არქივის შენობაში;

4. მკვლევართა დარბაზში საკვების ან/და სასმელის შეტანა;

5. მკვლევართა დარბაზში, ისევე, როგორც ეროვნული არქივის ყველა შენობაში, თამბაქოს ან მისი ელემენტის შემცველი ნაწარმის (მათ შორის ელექტრონული სიგარეტი) მოხმარება;

6. მკვლევართა დარბაზში მობილური ტელეფონის გამოყენება;

7. სამუშაო მაგიდასთან ჩანთის ან/და ხელბარგის განთავსება (აღნიშნული ნივთები უნდა მოათავსოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას). ფული და სხვა ძვირფასი ნივთი მკვლევარმა თან უნდა იქონიოს. აღნიშნული ნივთების დაკარგვის შემთხვევაში ეროვნული არქივი პასუხს არ აგებს.

#### **მუხლი 5. პასუხისმგებლობა**

ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ეროვნული არქივის ხელმძღვანელობას უფლება აქვს მკვლევრის მიმართ, დარღვევის სიმძიმის შესაბამისად, გამოიყენოს შემდეგი ზომები:

ა) მისცეს შენიშვნა, გაფრთხილება;

ბ) დაატოვებინოს მკვლევართა დარბაზი;

გ) მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები.